



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 4 აგვისტო

დისციპლინური საქმე №131/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 21 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 25 ივლისის №434/131-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლის არათანმიმდევრული ქმედებით ეზღუდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. კერძოდ, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ წარმოებაში მიღებაზე უარის განჩინებებით მოსამართლე ცდილობს თავიდან აიცილოს განსახილველი საქმეები.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2021 წლის 18 იანვარს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე --- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე ---).

2021 წლის 20 იანვრის განჩინებით უარი ეთქვა --- სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

2021 წლის 22 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების გასაჩივრებაზე უარის თქმის და სარჩელის და თანდართული მასალების დაბრუნების თხოვნით.

2.2. 2021 წლის 28 იანვარს --- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე --- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე ---).

2021 წლის 29 იანვრის განჩინებით უარი ეთქვა --- სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2021 წლის 12 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების გასაჩივრებაზე უარის თქმის და სარჩელის და თანდართული მასალების დაბრუნების თხოვნით.

2.3. 2021 წლის 19 თებერვალს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე --).

2021 წლის 22 თებერვლის განჩინებით -- -- სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და მისი შევსების მიზნით განესაზღვრა 7 დღის ვადა. 2021 წლის 25 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ; აკრძალა -- -- მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2021 წლის 1 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების ან პოლიციის მეშვეობით ჩაბარების თაობაზე. 2021 წლის 2 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოპასუხე მხარისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით ჩაბარების დავალების თაობაზე. 2021 წლის 29 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოპასუხე მხარისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით ჩაბარების დავალების თაობაზე.

2021 წლის 8 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა -- -- განცხადება მოპასუხე -- -- სარჩელისა და თანდართული მასალების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით ინფორმირების თაობაზე; დარჩა განუხილველი -- -- სარჩელი -- -- მიმართ. 2021 წლის 17 ივნისს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2021 წლის 8 ივნისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2.4. 2022 წლის 4 მარტს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე --).

2022 წლის 7 მარტის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2022 წლის 11 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების გასაჩივრებაზე უარის თქმის და სარჩელის და თანდართული მასალების დაბრუნების თხოვნით.

2.5. 2022 წლის 29 აპრილს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე --).

2022 წლის 2 მაისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2022 წლის 5 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების გასაჩივრებაზე უარის თქმის და სარჩელის და თანდართული მასალების დაბრუნების თხოვნით.

2.6. 2022 წლის 18 მაისს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით (საქმე --).

2022 წლის 19 მაისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2022 წლის 30 მაისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს განჩინების გასაჩივრებაზე უარის თქმის და სარჩელის და თანდართული მასალების დაბრუნების თხოვნით.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა

მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულია პირის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თუმცა, იგი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონით დადგენილია მისი შეზღუდვის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება. „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ .

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები.

ამდენად, განჩინებების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები ნაწილდება და შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ ვრცელდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ვარაუდი, რომ წარმოებაში მიღებაზე უარის განჩინებით მოსამართლე ცდილობს თავიდან აიცილოს განსახილველი საქმეები საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც აღნიშნული წესის მიხედვით იმავე მოსამართლეზე ნაწილდება საქმეები, რომელმაც მიიღო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინებები.

ასევე აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

შეწყდეს --- 2022 წლის 21 ივლისის №131 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი